



მეჩვენებთ ერთად



ჩვენს ოჯახში ცხოვრობს მოხუცი





მოწყაღე და მწყაღობელი ღმერთის სახელით



muslim georgia



დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა

აეთანდილ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი

ბილალ ილკაი



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

وقف تضامن وادع المسلمو جورجا

muslim GEORGIA ULUSLARARASI YARDIMLAŞMA VAKFI



www.muslimgeorgia.org



info@muslimgeorgia.org



[muslim.georgia.18](https://www.facebook.com/muslim.georgia.18)



[muslim.georgia.54](https://www.facebook.com/muslim.georgia.54)



[georgiaquran](https://twitter.com/georgiaquran)



[muslim_georgia](https://twitter.com/muslim_georgia)



[muslimgeorgiaquran](https://www.instagram.com/muslimgeorgiaquran)



[muslimgeorgia](https://www.instagram.com/muslimgeorgia)



ჩვენი ოჯახში ცხოვრობს ემოციები



მეჩვენებთ აქთან





მოხუცი ადამიანი მოვიდა ჩვენი ძვირფასი შუამავლის სანახავად. უნდოდა მოესმინა მისი ნაამბობი, შეიძლება დაესვა მისთვის კითხვებიც და ეპოვა სიმშვიდე მის უკან ნამაზის ღოცვით. ჩვენი საყვარელი შუამავლის გარშემო ბევრ ხალხს მოეყარა თავი. გარშემორტყმული იყო მედინას მკვიდრთა მიერ, რომლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ღამაში სახით და ტკბილი მეტყველებით. მოხუცს გაუჭირდა ადგილის მოძებნა, ხოლო იქ მჯდომები კი მისთვის ადგილის დათმობას აჭიანურებდნენ. ჩვენმა ძვირფასმა შუამავალმა შენიშნა სიტუაცია. მან არ დაუშვა უფროსი ადამიანის ფეხზე დგომა, მისთვის გულის ტკენა, რომელმაც წლები მოიტანა ჩვენამდე და იქ შეკრებილ ადამიანებს ასე მიმართა: „არ არის ჩვენგანი, ვინც არ გამოიჩენს თანაგრძნობას ჩვენი პატარების მიმართ და პატივს არ სცემს ჩვენს უხუცესებს!“ (თირმიზი, ბირრ და სილა, 15)



muslim georgia uc
International Chaplains



რადიოსიბირე!

ჩვენს კულტურაში ადამიანს, რომელიც არის ხანში შესული, ვუწოდებთ „იჰთიარს“. „იჰთიარ, ნიშნავს „რჩეულს, არჩეულს, გამოცდილს.“ მოხუცი, თავისი პიროვნებით, რომელსაც საზოგადოებაში აზრსეკითხებიან, აფასებენმისმოსაზრებებს, სხვა ადამიანებისთვის წარმოადგენს კარგ მაგალითს. ყველა არსების საერთოებლიასიბერე. ბავშვობა, ახალგაზრდობა, სრულწლოვანებადაადამიანი მიდის ცხოვრებისმოგზაურობისახალგაჩერებაზე. ეს გაჩერება ზუსტად გავს დროის მონაკვეთებიდან საღამოს; სეზონთაგან შემოდგომას...

როდესაც ვბერდებით, ვიცვლებით. ღრმანაკვაღევი ჩნდება ჩვენს სახეზე. სინამდვილეში, უფრო მეტად სამწუხარო ამცვლილების ჩვენსგონებაში ასახვაა, ვიდრეჩვენს სახეზე! თუმცა, ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ წლებისგამოცდილებითგაიხედონ ახალფანჯარაში, უკან უბერებელ კვალს ტოვებენ. მათმსგავსად: როდესაცმიმარ სინანმდაასრულა „სულეიმიანიე“, გალილეომ მთვა-


მოვიდა ერთი
კაცი და
ჰკითხა: “ჰეი
აღლაჰის
შუამავალო!
ვინ არის
ყველაზე
სასარგებლო
ადამიანი?
აღლაჰის
შუამავალმა
უპასუხა: “ვისი
სიცოცხლეც
ხანგრძლივია
და საქმე
კეთილი”

(თირმიზი, ზუჰდ, 21)

რის ყოველდღიური და ყოველთვიური ნახაზები მოამზადა, უკვესამოცდაათს კარგახნის გადაცილებულნი იყვნენ. როდესაც პასტერმა ცოფის მიკრობი აღმოაჩინა სამოცის, სადი კი, როდესაც „გულისტანი“ დაწერა ოთხმოცის იყო...

ადამიანი განიცდის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ცვლილებებს ასაკის მატებასთან ერთად. ჩვენი მეხსიერება სუსტდება, ვითარდება რეგრესიები

ჩვენს ხუთ გრძნობაში, მცირდება ჩვენი სხეულის მოძრაობის უნარი. ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება იძულებულნი გავხდეთ რომ, შევეგუოთ დაავადებებს, რომლებიც არ გვტოვებენ. ვგრძნობთ წარსულის დადლილობებს, ზოგჯერ ძალა გვეცლება. ჩვენი ძვირფასი შუამავა-



ლი ლოცულობდა რათა, ამ რეგრესიას არ მიეღწია სიცოცხლის პარალიზების განზომილებამდე: „ღმერთო ჩემო! დამიცავი სიზარმაცისგან, დაცემული მოხუცებულობისგან, ცოდვებისგან და დავალიანებაში ჩავარდნისგან.“ (იბნ მაჯჰ, ლოცვა, 3) როგორც ჩვენი სხეული, ასევე შეიძლება დასუსტდეს ურთიერთობები ჩვენს ოჯახთან, ნათესავებთან და მეზობლებთან. მაგრამ ჩვენი სული ყველაზე სრულყოფილ დროში იცხოვრებს. ანდაზა აღნიშნულს გამოხატავს შემდეგი სიტყვებით: „ახალგაზრდობას აქვს ღამაზი სახე, სიბერეს ღამაზი სული.“

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბრძანებს, რომ „როდესაც ადამიანი იზრდება, მასთან ერთად იზრდება ეს ორი რამეც: ქონების სიყვარული და ხანგრძლივი სიცოცხლის სურვილი.“ (ბუჰარი, რიყაყ, 5) მართლაც, რეგრესიამ, რომელსაც ადამიანი განიცდის ხანდაზმულობის პერიოდში, ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფით მახასიათებლების წარმოშობა, როგორცაა ქონებისა და ფულის მიმართ ლტოლვა, აგრესიულობა და შეუთავსებლობა, ზედმეტი პრეტენზიულობა, გულგრილობა, მგრძნობელობა. მეორე მხრივ, სიკვდილის მოახლოების



განცდა, რომელთნ დაკავშირებითაც იგნორირებულია ის ფაქტი, რომ სინამდვილეში ყველა ერთსა და იმავე მანძილზეა, ცხოვრებაზე გულის აცრუება, ყოველდღიური ცხოვრებისგან მოწყვეტა, მომავლის მიმართ ეჭვი, უიმედობა და შიში. სინამდვილეში სიკვდილი არ არის გაქრობა, არამედ არის მისაღმება უკვდავ სიცოცხლესთან. სიკვდილი არ დაახრჩობს სულს, პირიქით, გაათავისუფლებს.

წყალობაა

ხანგრძლივი სიცოცხლე სინამდვილეში უფლის წყალობაა ადამიანისადმი. ეს არის საშუალება, რომ უფრო გამოცდილი გონებით და უფრო სავსე გრძნობით ვიცხოვროთდა შევექმნათ მეტი სილამაზე. თუ ხანდაზმულობის ასაკი კარგად იქნება გამოყენებული, ის შეიძლება გარდაიქმნას დიდ შესაძლებლობად და წყალობად. ინგმარ ბერგმანი თავის ერთ-ერთ სიტყვაში ამბობს, “სიბერე მთაზე ასვლას ჰგავს, როდესაც მთაზე აღიხართ თქვენი დაღლილობა იზრდება, სუნთქვა ძნელდება, მაგრამ თქვენი ხედავა ფართოვდება.“ მართლაც,



ჩვენს ოჯახში სწავრობს მოხუცი

ეს არის პერიოდი, როდესაც შესაძლებელია მოვლენებისთვის ფართო პერსპექტივით შეხედვა. კარგი თუ ცუდი, წარსული აღირიცხება, გასაგები ხდება დროის ნაყოფიერება, ჯანმრთელობის ფასი. ერთ მუჭა მედიკამენტს იღებს ზოგჯერ ხანდაზმული; სიბერის ყველაზე კარგი წამალი კი არის ის, რომ იყო განსწავლული და სათნო.

სიბერე არ ნიშნავს სიცოცხლისგან მოწყვეტას

ხანდაზმულობა თეთრია. „რა მოხდა ჩემს საფეთქლებზე, გათოვდა? ღმერთო ჩემო, ეს დანაოჭებული სახე ჩემია?“ ამბობს ადამიანი. რამდენად დიდია ის სიხარული, როდესაც მორწმუნე და ალლაჰთან და მის შუამავალთან მთელი გულით დაკავშირებული ადამიანის ბედნიერ ცხოვრებაში გათეთრებული თმები, მის გრაფაში იწერება მადლად, ხდება ცოდვების პატიებისა და ალლაჰის წინაშე ამადლების მიზეზი. (იბნ კაბულე, II, 210) ჩვენმა საყვარელმა შუამავალმა სიტყვებით “ვინც ღვთის გზაზე გაათეთრებს თავის თმას და წვერს, ეს სითეთრე განკითხვის დღეს მისთვის სხი-




ვი გახდება” (ნესაი, ჯიჰად, 26) პატივი მიაგო ჩვენს ხანდაზმულებს.

განა ტყუილად გათეთრდა ეს თმა? რა თქმა უნდა არა! ხანდაზმული, რომელმაც ახალგაზრდობის პერიოდში შექენილი ცოდნითა და უნარებით განახორციელა წლების სიმწიფის კომბინირება, ამ ძვირფას მონაპოვარს გადასცემს მომავალ თაობებს. ამ გზით, ეხება ბავშვთა ოცნებებს, ახალგაზრდების იმედებს. ამ გზით კაცობრიობისთვის სარგებელი მოაქვს.

სიკვდილი, რომლისთვისაც მზად ვართ, ჩვენთვის ქორწილი გახდება

ღვთაებრივი კანონის თანახმად, ადამიანი ცხოვრების საფეხურებს ასრულებს ნაბიჯ-ნაბიჯ. ის იბადება, იზრდება და კვდება. ყურანი ამ თავგადასავალს შემდეგნაირად აღწერს: “იგია ალლაჰი, რომელმაც გააჩინა თქვენ სუსტისგან, სისუსტის შემდეგ დაგიდგინათ სიძლიერე და მერე შეგიცვლით ამას სისუსტითა და ჭკდარით. გააჩენს, ინებებს რასაც,

A photograph of two elderly people walking away from the camera on a path covered in fallen autumn leaves. The person on the left is wearing a light brown coat and a matching beret. The person on the right is wearing a grey coat and a grey hat, and is using a wooden walking stick. The background is filled with trees with vibrant orange and yellow autumn foliage. The scene is captured in a slightly tilted perspective.

ჩვენი შუამავალი
ამბობს, რომ
„ადამიანი თითქოს
გარშემორტყმულია
ოთხმოცდაცხრამეტი
სიკვდილით
(საფრთხით). მაშინაც
კი, თუ ის გადალახავს
ამ საფრთხეს,
აღმოჩნდება
მოხუცებულობის
პირისპირ და
საბოლოოდ მოკვდება“
(თირმიზი, ბედისწერა, 14)



რამეთუ იგია ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე!“ (რუმი, 30/50)

მოხუცებულობაში ყველაზე დიდი საფრთხე, იმედის დაკარგვა, სიცოცხლის სიხარულის შემცირება და სიკვდილის შიშია. ხანდაზმულთათვის ზოგჯერ გაუსაძლისი ხდება სამყაროს დატოვებისა და საყვარელი ადამიანებისგან განშორებით გამოწვეული მღელვარება. რწმენა და სულიერება არის ყველაზე დიდი დამხმარე ამის დასაძლევად. დანაკლისისა და წუნის ანაზღაურება შეიძლება ვიპოვოთ მონანიებაში. ჩვენი ენის მიერ წარმოთქმული მადლიერება, ჩვენი თვალებიდან ჩამომდინარე ვედრებით დატვირთული წვეთები, ფატალიზმისათვის გაღებულ კარები დაამშვიდებს ჩვენს სულს. ჩვენ შევურიგდებით სიკვდილს ისე, როგორც მევლანა უწოდებს სიკვდილს „ქორწილს“...



ნა სურს ხანდახმუოს?

სურს იყოს დამოუკიდებელი, როგორც ინდივიდი

ყოველი ადამიანის სურვილია, სიცოცხლე დაასრულოს ისე, რომ არ იყოს სხვაზე დამოკიდებული. თუმცა, ფაქტია, რომ მოხუცებს იმისათვის, რომ შეძლონ ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორცაა კვება, საცხოვრებლის უზრუნველყოფა, ჩაცმა, ჯანმრთელობის დაცვა, შეიძლება დასჭირდეთ უპირველესად ოჯახის, შემეგ კი საზოგადოების მხარდაჭერა.



არსებობს ვიწრო ხაზი ხანდაზმულ-
თათვის დახმარების შეთავაზებასა და
მის სიცოცხლეში ჩარევით მისი დამო-
უკიდებლობის შეზღუდვას შორის. ამი-
ტომ, უნდა მოვეპყროთ ძალიან ფრთხი-
ლად, მივცეთ შესაძლებლობა, რომ ხან-
დაზმულებმა თავიანთი მოთხოვნილე-
ბები დაიკმაყოფილონ თავადვე, რაც
შეიძლება დიდხანს. უნდა გვახსოვდეს,
რომ მათ აქვთ საკუთარი გადაწყვეტი-
ლებები, იდეები და ემოციები და უნდა
ვეცადოთ, რომ გამოვიჩინოთ პატივისცე-
მა და ვაცხოვროთ საკუთარ სახლში ან
ოჯახურ გარემოში.



მას სურს გააგრძელოს მოგზაურობა სრულყოფილებისაკენ

დღესდღეობით არსებობენ „თანამედროვე ხანდაზმულები“, რომლებსაც არ სურთ ჩაიკეტონ სახლში და გაატარონ ცხოვრება ტელევიზორის ყურებაში. მათ მოსწონთ მოგზაურობა და გასეირნება, იყენებენ ტექნოლოგიებს, დროს უთმობენ თავიანთ გატაცებებს, გვევლინებიან ინდივიდებად, რომლებიც გახსნილი გონებით ხვდებიან სიახლეებს. ყველა ხანდაზმული პიროვნება, მიუხედავად გარემოსა და მატერიალური შესაძლებლობის დონისა, ნამდვილად იმსახურებენ ახალ შანსებს საკუთარი თავის რეალიზაციის გზაზე. ზოგი მათგანი ივლის კურსებზე, ზოგი წიგნს დაწერს ან მოხალისედ იმუშავებს საბავშვო ბაღში აღმზრდელად. მაგრამ საბოლოო ჯამში, ის ისარგებლებს საკუთარი თავის აღმოჩენის სიამოვნებით, ჰპოვებს სიმშვიდეს ალლაჰთან კავშირის განმტკიცებით და იგრძნობს სიამაყეს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის კეთებით. ამიტომ, ხანდაზმულებს უნდა მიეცეთ საშუალება განივითარონ

ცოდნა და უნარ-ჩვევები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო, კულტურულ და ნებაყოფლობითი მომსახურების ღონისძიებებში.

სურს შეახვედროს ერთმანეთს წარსული და მომავალი

დღევანდელ პრობლემათაგან ერთ-ერთი ისაა, რომ თანამედროვე ადამიანები ცდილობენ ხანდაზმულების შენარჩუნებას ცხოვრების ტემპისგან შორს. რა თქმა უნდა, ხანდაზმულთათვის შეუძლებელია ახალგაზრდების ცხოვრების ტემპისთვის ფეხის აწყობა. თუმცა ბევრი ხანდაზმული ადამიანი, რომელიც ჩივის, რომ არავინ ურეკავს მას და არ იკითხავს, ცოხვრობს ერთ კუთხეში, უბედურ და უიმედო მარტოობაში. ამ ეტაპზე, რაც უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ ყურადღება მიექცეს ხანდაზმულებთან რეგულარულ შეხვედრებს.

წარსულის უკან დაბრუნების შეუძლებლობა, ნაკლოვანებების აღმოუფხვრელობა, ისედაც საკმარისად მოქმე-



დებს ადამიანზე! ჩვენ არ უნდა შევეგუოთ ასევე ხანდაზმულების მწუხარებით ავსებას. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ საზოგადოებასთან მათი ურთიერთობების გაგრძელებას და არ უნდ მივატოვოთ ისინი სიმარტოვის ცივ კალთაში, მაშინ, როდესაც შეიძლება ყველაზე მეტად ესაჭიროებოდეთ სითბო და თანაგრძნობა, ვიდრე ოდესმე.

უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ არა მხოლოდ შეიკრიბონ, გაუზიარონ ერთმანეთს დარღები და დაიშალონ, არამედ გაატარონ დრო ახალგაზრდებთან. რადგანაც, არ არსებობს ასაკი კაცობრიობისთვის სარგებლის მოტანისა და ახალ თაობებს სჭირდებათ უფროსების ცოდნა და გამოცდილება.

ზოგჯერ ჩვენი დამოკიდებულება და ქცევები ამბობს “მოხუცი ხარ? განზე გადაექი, გარშემო არ გამოჩნდე, ფეხებში ნუ მოედები, ყველა საქმეში ნუ ერევი, დაელოდე სიკვდილს უხმოდ და მშვიდად!”... ამიტომ, ადამიანებს ეშინიათ დაბერების. ისინი ხარჯავენ დიდ დროს და ბევრ ფულს და ცდილობენ ხანდაზმულობის ასაკის შედეგების დაგვიანებას და ბედისწერის გადადებას. თუმცა, ნაცვლად

აღაპიანს ვაინი
მარტოობის და არა
სიბერის! ყველაფერი
მანკათათ იმისათვის,
რომ მოხუცებმა არ
მანიჭრონ ეს სავი
ბრძნობას:

მარტოობა,
უიფვერობა,
უსარგვებრობა





შიშისა, ყველაზე კარგი არ იქნება, ჭკვია-
ნური დამოკიდებულებით ახალგაზრდუ-
ლი ასაკიდან მოყოლებული მოემზადონ
ხანდაზმულობისთვის? განა უფრო შესა-
ფერისი არ იქნება, რომ თავიდანვე დავი-
ნახოთ გზის დასასრულის რეალყოფილი
ადამიანის ქცევებით და მივლოთ ზომები?

თუ ჩავენერგავთ მატერიალური და სუ-
ლიერი თვალსაზრისით შესაბამისობა-
ში ყოფნის ცნობიერებას ჩვენს ადამი-
ანებში... თუ ვასწავლით ბედნიერებისა
და თვითუზრუნველყოფის ძალისხმევას
... თუ მოვამზადებთ საკუთარ თავს იმი-
სათვის, რომ ვიყოთ ჯანმრთელი, განსწავ-
ლული და მოსიყვარულე მოხუცები... თუ
ავღზრდით ისეთ ადამიანებს, რომლებიც
ნაცვლად მწუხარებისა იმის გამო, რაც
დაკარგეს, კმაყოფილები იქნებიან იმისა,
რაც აქვთ... ნაცვლად მოხუცებისგან გა-
სუფთავებული ცხოვრებისა, თუ მოვქე-
ბით მათი ცოდნითა და გამოცდილებით
გამდიდრებული ცხოვრების გზებს...

სურს ჯანმრთელი და იმედიაანი დღეები

პოეტის ენით მოხუცი ამბობს, რომ
„დღეები გავიდა, დროს ვერ გავუხსწარი /



სარკეში დავინახე ჩემი თავი და კარგად ვერ გავარჩიე.“ ასაკის მატებასთან ერთად იცვლება ადამიანის სოციალური, ეკონომიკური და ფიზიკური მოთხოვნილებებიც. განსაკუთრებით ფიზიკური მოძრაობების შესუსტება და შემცირება, მოქმედებს ხანდაზმულის არჩევანზე. 65 წელს ზემოთ ყოველი 10 ადამიანიდან 8-ს სულ მცირე ერთი ქრონიკული დაავადება აქვს. სწორედ ამ ეტაპზე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულებმა მიიღონ ჯანდაცვის მომსახურება, ადამიანის შესაფერისი სუფთა და უსაფრთხო გარემოში, ისარგებლონ მზრუნველობითი და სარეაბილიტაციო მომსახურებებით. ყველა ჩვენგანის მოვალეობაა დავიცვათ მოხუცი გული გამოყენებისგან, მოხუცი ორგანიზმი ფიზიკური ან გონებრივი დამცირებისგან.


სურს შეინარჩუნოს რეპუტაცია

თქვენი აზრით რას ნიშნავს “სიკეთე?“ რას ნიშნავს კეთილდღეობა იმ ადამიანისთვის, რომელიც წლების განმავლობაში მიჯაჭვულია საწოლს, არ შორდება ცრემლები, ვერ საუბრობს, ვერ სვამს ჭიქა ჩაის? მისთვის სიკეთე გულიდან

მოწვევებილი თბილი ღიმილი, სიყვარულით გაწვდილი ხელი, შესაძლოა მხოლოდ ერთმანეთის გვერდითყოფნაა...

ადამიანები უფრო მეტ ყურადღებასა და სიყვარულს ელოდებიან სიბერის დროს. მათ უნდათ, რომ დაურეკონ, გაიხსენონ, იგრძნონ, რომ არიან ღირებულნი. განსაკუთრებით სურთ, რომ ყურადღება გამოიჩინონ შვილებმა, მოინახულონ. მცირედი საჩუქარი მათ აიძულებს, მატებს ცხოვრების ხალისს. ამ სათნოების მნიშვნელობა უფრო მეტია ქალაქებში, სადაც მარტოობა მახეს უგებს ხანდაზმულებს. იმიტომ, რომ ისინი სიცოცხლის დამაბრმავებელ შფოთვაში, ყველაზე უგულვებელყოფილნი არიან ჩვენი მხრიდან...

ადამიანს, რომელიც ახალგაზრდობაში პატივისა და ღირსების მოყვარულია, სჭირდება ღირსებითა და პატივით მოპყრობა ხანდაზმულობაშიც. ანდაზა, „როდესაც მგელი დაბერდა, ბატკნების მასხარა გახდა!“ რაოდენ სამწუხარო რეალობაზე მიუთითებს სინამდვილეში... თუმცა, ჩვენი საყვარელი შუამავალი, ხანდაზმული ადამიანის ღირსების დაცვის მნიშვნელობის შესახებ, ნახეთ რას ამბობს:



“მორწმუნე
მუსლიმის
პატივისცემა,
რომელსაც
აქვს თეთრი
თმა და წვერი,
აღლაჰისადმი
პატივისცემაა“

(ეზუ დაეუდ, ეღებ, 20)



ჩვენი მოვალეობა

დავეხმაროთ მათ იცოცხლონ მშვიდად და ჯანმრთელად

ადამიანს სურს, რომ მეორე გაზაფხული ცხოვრებაში გაატაროს “სიმშვიდეში”. ენატრება დღეები დაძაბულობის გარეშე, კონფლიქტის გარეშე, მშვიდი დღეები. მართლაც, შენელებულია ინტენსიური ცხოვრების ტემპი; აღარ არის გადარბენები, სტრესი. ხანდაზმულობასთან ერთად უფრო მოსმენადი ხდება ადამიანი. ანუ, მასთან მეოფების მოვალეობა, მის მიერ ამ სიმშვიდის ძიების პატივისცემა, არა ხანდაზმულის ბედნიერების გართულება, არამედ გამარტივებაა.

ხანდაზმული იყოს ბედნიერი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მის ყველა სამუშაოს შეასრულებს სხვა ვინმე. არ არის სიკეთე დავსვათ ჩვენი უფროსები კუთხეში გაუნძრევლად, რომლებიც სიბერეში ისედაც შენელდნენ. რაც ახალ-



გაზრდებს ევალებათ, არ ნიშნავს მათი საქმეების მთლიანად შესრულებას, არამედ ფეხებში გაბლანდული ქვის განზე გაწევას, როდესაც ისინი მუშაობენ. ხანდაზმულმა ადამიანებმა უნდა იარონ ფეხით, დაკავდნენ მებაღეობით, თუ მათ არ გააჩნიათ ჯანმრთელობის პრობლემა, გააგრძელონ მოძრაობით მიღებული ნაყოფიერების დაგემოვნება. ჩვენი მოვალეობაა უზრუნველყოთ მათი ჯანსაღი კვება და მკურნალობა საჭიროების შემთხვევაში. ჩვენს მიერ ზრუნვა მათ ჯანმრთელობაზე, დააკავშირებს მათ სიცოცხლესთან.

ჩვენი ცხოვრების მეგზური იყოს “თანაგრძნობა“

ჩვენ ვართ ადამიანები... რა ასაკისაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ გვჭირდება თანაგრძნობა. ჩვენ ასევე გვეკისრება პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ ისეთი თანაგრძნობა, როგორც ჩვენთვის გვსურს.

ჩვენ ვსწავლობთ თანაგრძნობას მოსმენით, ნახვით. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და ბავშვები ერთმანეთის მიმართ იყვ-

ნენ მიმტვევებელი. ჩვენი შუამავალი ამბობს, „თქვენგან საუკეთესო არის ის, ვინც საუკეთესოა თავის ოჯახის წინაშე.“ (თირმიზი, მენაკიბი, 63) და გულისხმობს ოჯახის ყველა წევრის მიმართ კარგად მოქცევას, განურჩევლად ახალგაზრდა იქნება ეს, მოხუცი თუ ბავშვი. მშობლები, რომლებიც თავიანთი შვილების გულებში ნერგავენ სიყვარულს და თანაგრძნობას, დაბერებისას წყალობას მოიმკიან. განა შეიძლება ველოდოთ სიბერის დროს მშობლების მიმართ მოწყალებას შვილისგან, რომელიც გაიზარდა ისეთ სახლში, სადაც წლების განმავლობაში დაგროვილი იყო ბრაზი, სადაც დომინირებდა ძალადობა და შიში?

იყო მშობელი მოითხოვს შვილების მიმართ თანაგრძნობით, მოთმინებით და ტოლერანტობით მოპყრობას მაშინაც კი, როდესაც ისინი ზრდასრულები არიან და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც არიან პატარები. მშობელი, რომელიც მიმართავს იძულებას და ამბობს, “ისე იქნება, როგორც მე ვიტყვი! ან ჩემს უფლებას არ გაპატიებ!” ან შვილი, რომელიც იჟინებს, „შენი დრო წავიდა, უკვე სიტყვას მე ვამბობ!“ ვერ იქნება ბედნიერი მაშინაც კი, თუ ის იღებს, რაც



მას სურს. თუკი ასეა, მაშინ ჩვენ არ უნდა გვქონდეს გზა, გარდა იმისა, რომ დაგუკავშიროთ მოხუცი ახალგაზრდას, ზრდასრული ბავშვს...

არ მოვაკლოთ სიყვარული და ყურადღება

სინამდვილეში ხანდაზმულობა და სიყვარული ერთმანეთის მსგავსია. ხანდაზმულობაც სიყვარულის მსგავსად არ შეიძლება იყოს დაფარული... როდესაც ადამიანი ბერდება, უფრო მეტი ყურადღება და სიყვარული სჭირდება, რადგან პერიოდი, რომელშიც ის იმყოფება, მას ძალიან მგრძობიარეს ხდის. წმინდა ყურანში, ჩვენი ხანდაზმული მშობლების სიყვარულისა და თავაზიანობის დამსახურება აღწერილია შემდეგნაირად: „და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, მის გარდა და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიადწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი! ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ღმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას რო-

ჩვენი შუამავალი ამბობს: „თუ
ახალგაზრდა მოემსახურება მოხუცს
მისი ასაკის გამო, მაშინ ალღაში
მოუმზადებს მას ადამიანებს, ვინც
პატივს სცემენ მას მოხუცებულობაში.“

(თირმიზი, ბირჩ და სილა, 75)





გორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“

(ისრა, 17/23-24)

ჩვენმა ყოველდღიურმა საქმიანობამ არ უნდა შეგვიშალოს ხელი, დაუუკავშირდეთ ჩვენს მოხუცებს, ვკითხოთ მათ როგორ არიან. შევინარჩუნოთ ისინი ჩვენი სიყვარულითა და ყურადღებით, ჩვენც ვიცხოვროთ მათი მხარდაჭერითა და ღოცვით. ხანდაზმული ადამიანისთვის დახარჯული დრო და ძალისხმევა, განა დროის დაკარგვას ნიშნავს? თუ მომავლისთვის განხორციელებული ყველაზე ძვირფასი ინვესტიციაა?

როგორც ამბობენ, “ეს თმა არ გათეთრებულა წისქვილზე!” ისინი სიბრძნით სავსეა. ხურჯინები სავსეა მოხუცების სასწაულებით. მათ გაიარეს ბედის ბორბალში, ნახეს და იცხოვრეს. მათ აქვთ ზღაპრები მოსაყოლი ჩვენი შვილებისთვის, აქვთ გაკვეთილები ჩასატარებელი ჩვენი ახალგაზრდებისთვის. მათ დააგროვეს უამრავი მოგონება და რჩევა, რომელიც გაგვიწევს მეგზურობას. დიდი მოგებაა მათთან საუბარი, მათი სიტყვების მოსმენა გაწყვეტინების გარეშე და მათ ხურჯინებში არსებული სასწაულებიდან წილის მიღება! სამ წინადადებას

იტყვიან გაბრაზება, გაფიქრება იმისა, რომ მათი სიტყვები ძალიან მოძველებულია და ცოტაოდენი მოთმინების დამადლება კი, როგორც ღვთის ბრძანებისადმი წინააღმდეგობა ასევე დიდი ორგულობაა! თუ დავფიქრდებით...

როდესაც პატარები ვიყავით, განა ისინი არ იყვნენ, რომ მოთმინებით ელოდებოდნენ ჩვენს მიერ წარმოთქმულ ყველა სიტყვას, პასუხობდნენ ჩვენს დაუსრულებელ კითხვებს, ისმენდნენ დიმილთ ჩვენს ბავშვურ იდეებს? ვთქვათ არ იყვნენ, ვერ გაიგეს, ვერ შეამჩნიეს. ახლა ჩვენ ვიცით, ვაცნობიერებთ რამდენად მნიშვნელოვანია ურთიერთობა. თუკი ასეა, მოდით მოვუსმინოთ ხანდაზმულებს.

არ დავუშვათ, რომ გული აიცრუონ ცხოვრებაზე

„დაბერება ნიშნავს ახალი სამსახურის დაწყებას.“ ამობობს გოეთე. დაბერება არ უნდა იყოს უმუშევრად დარჩენა, სარგებლობის გრძნობის დაკარგვა და გამარტოსულება. პირიქით, ხანდაზმული ადამიანი ნიშნავს, ახალ გარემო-



ში, ახალი ურთიერთობის ქსელით ახალი სამსახურის შოვნას. მან ცხოვრების შესახებ დიდი გამოცდილება მიიღო, მრავალი მოგონება შეაგროვა. ახლა არის დრო, რომ გადააქციოს ისინი კაცობრიობისთვის სასარგებლოდ!

მოდით ვენდოთ ხანდაზმულებს. ნუ მოვერიდებით მათთან იმავე გარემოში ყოფნას. ნუ აღვზრდით ისეთ ბავშვებს, რომლებიც გაურბიან მოხუცებს, ბეზრდებათ ისინი, არ სურთ მათთან საუბარი. თუ ჩვენ გვინდა გვეყავდეს კეთილშობილი და ღირსეული შთამომავლობა, რომელმაც იცის თავისი ტრადიციები და ადათ-წესები, მივიღოთ ჩვენი უხუცესების მხარდაჭერა ჩვენი შვილების მოვლასა და აღზრდაში. გავაცნობიეროთ, რომ როდესაც ამას აკეთებენ, ისინი არ ასრულებენ ვალდებულებას, არამედ აკეთებენ სიკეთეს. შვილიშვილის სიყვარული მათ სიცოცხლის ენერჯიას აძლევს, უზრუნველყოფს იგრძნონ, რომ სასარგებლონი არიან. ბებობის სასიამოვნო განცდა, ბაბუობის ღირსების განცდა დააკავშირებს მათ სიცოცხლესთან. მოდით, დავეხმაროთ მათ შეურიგდნენ სიბერეს, მიუხედავად ყველა სირთულისა. მოხუცებული გული არ

უნდა იძინებდეს სურვილით, რომ აღარ გაიღვიძოს, მას უნდა ჰქონდეს ხვალინდელი დღის იმედი!

დავალოცინოთ თავი

როდესაც ვიქნებით შვილები, რომლებიც პატივს სცემენ მშობლებს, მივიღებთ მათ ფასდაუდებელ ღოცვებს. ჩვენი საყვარელი შუამავალი ღმერთის წინაშე მიღებული ღოცვების შესახებ ბრძანებს: „სამი ადამიანის ღოცვა არ იქნება უარყოფილი: ჩაგრულის ღოცვა, სტუმრის ღოცვა და მშობლების ღოცვა: (ებუ დუავედ, ვითრ, 29)

ჩვენი რელიგია ხანდაზმულებისთვის პატივისცემას განიხილავს, როგორც მორალურ პასუხისმგებლობას. ეს პასუხისმგებლობა მიზნად ისახავს, რომ ბავშვი იყოს მათ გვერდით მშობლების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უზრუნველყოფისას. ჩვენი ღმერთის ბრძანება საკმაოდ ნათელია: “და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები. ატარა დედამ თავისმა, გაჭირვება-გაჭირვებით და მისი ძუძუდან მოწყვეტა ორ წლამდე გრძელდება. მე შემწირე



მადლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი!“ (ლუყმანი, 31/14)

ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბება შესაძლებელია თანაარსებობით. თაობებს შორის ჰარმონიული ურთიერთობების განვითარება სთავაზობს ძვირფას შესაძლებლობებს არა მარტო ხანდაზმულებს, არამედ ახალგაზრდებსაც. მოხუცთა მიერ დალოცვასიკეთისათვის, მხოლოდ ერთი მათგანია. ამიტომ, წყალობის შუამავალი ერთ დღეს საყვედურით სავსე სიტყვებს ამბობს: “სირცხვილი მას!” როდესაც ის გაიმეორებს ასეთ მძიმე სიტყვას სამჯერ, მისი მიმდევარი მეგობრები გაოცებულნი ეკითხებიან,

„ვის მიმართ ამბობ ალლაჰის შუამავალი?“ შუამავალი ასე პასუხობს: „ადამიანის მიმართ, რომლის გვერდითაც მოხუცდა მშობლებიდან ერთ-ერთი ან ორივე და მან ვერ მოახერხა სამოთხეში მოხვედრა.“ (მუსლიმ, ბირრ და სილა, 10)

ისინი ყოველთვის ჩვენს გვერდით იყვნენ რთულ პერიოდში, ახლა ჯერი ჩვენზეა

სამყაროში, სადაც ღირებულების შეფასებები მოშლილია, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ ხანდაზმულობის მნიშვნელობაზე და გავუგოთ ჩვენ მათ. დღესდღეობით, ბევრი ხანდაზმული ადამიანი საკუთარ თავს განიხილავს ზედმეტად, ჩვენი ოჯახური ბირთვის სტრუქტურაში... გარემოს ცვლილებით, რომელსაც ის იცნობდა, მისი ნაცნობების სიკვდილთან ერთად სულ უფრო და უფრო მარტოსული ხდება... ყველაზე მტკივნეული რამ ხანდაზმული კაცისთვის, შეიძლება იყოს განცდა, რომ „ტვირთად აწევება სხვებს“... სინამდვილეში, მისი არსებობა თავისი შვილებისთვის იყო არა



პრობლემის, არამედ იმედის წყარო. არ ჭამა, აჭამა, არ შეიმოსა, შემოსა. ბევრი წვალება გადაიტანა და გაზარდა შვილები.

ახლა ჩვენი ჯერია! ცხოვრებისთვის ბრძოლის ამ ბოლო ფაზაში, ჩვენი უხუცესების მიერ მშვიდი, იმედიანი და კარგი დღეების გატარების უზრუნველყოფა, ყველა ჩვენგანის მორალური და ადამიანური ვალია! ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები იმ ცნობიერებით, რომ ჩვენ ხვალინდელი მოხუცები ვართ, გაგვაბედნიერებს, როგორც ჩვენ, ასევე ჩვენს უხუცესებს. ჩვენი მოვალეობაა, რომ შევხედოთ მათ, როგორც ალლაჰის ამანათებს, ნებისმიერ შემთხვევაში არ გაუშვათ ხელიდან სიკეთე და კარგი მოპყრობა!

მაშინაც კი, თუ მათთვის მიუღებელია მსგავსი მსოფლმხედველობა, გემოვნება ან ცხოვრების სტილი, რაც ჩვენ გვაქვს... არ დაგვავიწყდეს, რომ მოხუცებულთა მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და სიყვარულის პირველი მისამართი ოჯახშია. სხვა რამ შეიძლება შეავსოს ოჯახში არსებული სითბოს, მეგობრობისა და ნდობის გარემოს ადგილი?